



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 28

განკარგულება

11/03/2020

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრისათვის“ ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N27-ში მდებარე შენობის (საკ.კოდი N29.08.34.107) პირველ სართულზე განთავსებული 57.82 კვ.მ. (ორი ოთახი N15 და N16) საოფისე ფართის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№31/1225; 09/03/2020) წერილი, რომელშიც ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ დირექტორის წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას მითითებულ ა(ა)იპ-ს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N27-ში მდებარე შენობის (საკ.კოდი N29.08.34.107) პირველ სართულზე განთავსებული 57.82 კვ.მ. (ორი ოთახი N15 და N16) საოფისე ფართი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრს“ სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N27-ში მდებარე შენობის (საკ.კოდი N29.08.34.107) პირველ სართულზე განთავსებული 57.82 კვ.მ. (ორი ოთახი N15 და N16) საოფისე ფართი.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

